

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №23

ქ. ახმეტა

01 სექტემბერი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა:

თ.წითელაური, ბ.ჭიჭიკლიშვილი, გ.ქიტესაშვილი  
ზ. გარსევანიძე, მ.ალხანაშვილი, გ.მაისურაძე,  
თ.ბოდაველი, ი.უჯირაული, ნ.აბალოიძე  
ბექა ბაიდაური - ახმეტის მუნიციპალიტეტის  
გამგებელი;

სხდომა გაიხსნა 11<sup>00</sup> სათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო  
დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ აწყურში  
მდებარე უმრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას  
საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - მზია ბექაური/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ საჩალეში  
მდებარე უმრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას  
საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - მზია ბექაური/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ქორეთში მდებარე უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას საჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

/მომსენებელი - მზია ბექაური/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ომალოში მდებარე უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

/მომსენებელი - მზია ბექაური/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

დღის წესრიგის საკითხების განხილვამდე ლ.შეთევკაურმა წარმოადგინა ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. საკითხი ეხება ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კუწახტაში მდებარე შენობას, მასზედ დამაგრებული 2525 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობით (საკადასტრო კოდი: 50.05.36.220) და ახმეტის მუნიციპალიტეტში, ბახტრიონზე მდებარე 25000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართის (საკადასტრო კოდი: (50.01.39.272) მდებარე 25000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართის (საკადასტრო კოდი: (50.01.39.272) საპრივატიზებო ნუსხაში ჩასმას და ითხოვა დღის წესრიგში მე-5 საკითხად დამატება.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დამსწრე პირები: ალექსანდრე ზამბახიძე და გიორგი ღორგომელაძე, რომლებმაც გააცნეს ბიუროს წევრებს პროექტი „ბახტრიონის“ ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობის შესახებ, წარმოადგინეს სასტუმროს მაკეტი. აღნიშნეს, რომ პროექტში ჩადებულია 6.5 მლნ.ევროს ინვესტიცია, საუბარია 2.5 ჰა მიწის ფართობზე. არ შევხებით ისტორიულ ნაგებობებს, მათ გავასუფთავებთ, ღამით გავანათებთ და უფრო თვალსაჩინოს გავხდით. მიმდებარე ტერიტორიაზე გავაკეთებთ სკვერს. კომპლექსი არ იქნება დახურული, ის ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.

ქალბატონი თამარ ყეინიშვილი დაინტერესდა, რომელი კომპანიის წარმომადგენლები იყვნენ, რაზეც განმცხადებელმა უპასუხა, რომ ეს არის ქართული კომპანია და არავითარი კავშირი არ აქვს უცხოურ კომპანიასთან.

თამარ ყეინიშვილი: პროექტი თავისთავად კარგია, მაგრამ ბახტრიონი ისტორიული ადგილია, თემა ძალიან საფრთხილო და სათუთა. საკითხი აუცილებლად უნდა შეისწავლოს შესაბამისმა კომისიამ.

ბიუროს წევრებმა ერთხმად გამოთქვეს აზრი, საკითხის უკეთ შესწავლის და გაცნობის შესახებ.

ლ.შეთევაურმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტის შემდეგი საკითხი: სოფელ კუწახტაში თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ადმინისტრაციული შენობის საპრივატიზებო ნუსხაში ჩასმის შესახებ.

ი.უჯირაულმა გამოთქვა აზრი. აღნიშნა, რომ: ბახტრიონზე სასტუმროს მშენებლობის საკითხი გადაეცეს შესაბამის კომისიას. მან შესაბამის უწყებებთან კოორდინაციაში მოამზადოს ოფიციალური დასკვნა და მოსახლეობის ჩართულობით გადავწყვიტოთ ამ მიწის გასხვისება-არ გასხვისების საკითხი. რაც შეეხება სოფელ კუწახტის შენობის საკითხს, წინააღმდეგი არ ვარ მისი საპრივატიზებო ნუსხაში ჩასმის.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება: წარმოდგენილი განკარგულების პროექტში შევიდეს მხოლოდ სოფ.კუწახტის საკითხი და საკრებულოს სხდომაზე გავიდეს განსახილველად, ხოლო მეორე საკითხის შესწავლა მოხდეს.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის დღის წესრიგში შეტანას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ი.უჯირაულმა დატოვა ბიუროს სხდომა.

მომსმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ აწყურში მდებარე უმრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ აწყურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ #50.02.32.399, 1990 კვ.მ) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში, წლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით- 39 ლარით.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ საჩალეში მდებარე უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ:

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი ბიუროს დამსწრე წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ საჩალეში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდი #50.04.39.270, ფართობი 6471 კვ.მ) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში, წლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით - 130 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ქორეთში მდებარე უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას საჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ქორეთში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N50.25.32.017, 8014 კვ.მ) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში, წლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით - 240 ლარით.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ომალოში მდებარე უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი ბიუროს დამსწრე წევრებს:  
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ომალოში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდი #50.07. 3.163, ფართობი 2450 კვ.მ) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში, წლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით- 123 ლარით.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11<sup>50</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყეინიშვილი